



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 14

2018 წ. "20" 03

ქ.თბილისი

„სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 6 მაისის №9-ე გადაწყვეტილებაში გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

საბჭოშ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 6 მაისის №9-ე გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245428158) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 8 000-ით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 700-ით. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

Nº	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელები ს მისამართი / მისამართები
1	სარესტორნო საქმის მწარმოებელი	მესამე	სარესტორნო საქმის მწარმოებლის მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112054	45	ქართული	80	ქ. ბათუმი, ნინოშვილის/ რუსთაველის ქ.35/32
2	კორესპონდენტი	მესამე	კორესპონდენტის მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 070353	45	ქართული	40	ქ. ბათუმი, ნინოშვილის/ რუსთაველის ქ.35/32
3	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემის ტექნიკოსი	მესამე	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემის ტექნიკოსის მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040154	45	ქართული	40	ქ. ბათუმი, ნინოშვილის/ რუსთაველის ქ.35/32
4	მშენებლობის მწარმოებელი	მეოთხე	მშენებლობის მწარმოებლის მე-4 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040651	60	ქართული	15	ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ.12

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №03 სხდომის ოქმის მე-9 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნუგზარ სხირტლაძე

ქ. თბილისი

მდივანი
მაკა გველესიანი

2. ავტომატური